


შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
დოკუმენტაცია

ომალის აეროდრომის სააეროდრომო ინფრასტრუქტურის მოწყობის
წინასაპროექტო შესწავლისა და საპროექტო მომსახურების

(CPV- 71320000)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ამ დოკუმენტაციასთან და მის საფუძველზე გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გაწერილი ამ დოკუმენტაციაში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, თუ ამ დოკუმენტაციაში პირდაპირ არ არის სხვაგვარად მითითებული

ქ. თბილისი
2016 წელი

სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსი

- ტექნიკური დოკუმენტაცია:
 - ტექნიკური მოთხოვნები და დოკუმენტაცია;
 - ტენდერში მონაწილეობის საორგანიზაციო ინფორმაცია;
 - მომსახურების განხორციელების ზოგადი პირობები.
- „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი
- დანართი №1 - რეკვიზიტები
- დანართი №2 - ფასების ცხრილი
- დანართი N3 - ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ
- დანართი N4 - ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ
- დანართი N5 - ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ
- დანართი N6 - ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შესაძლო გამოსაყენებული ქვეკონტრაქტორების შესახებ

1. ტექნიკური მოთხოვნები და დოკუმენტაცია

შესყიდვაში მონაწილე პირებმა - პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ (სისტემაში ატვირთონ) შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია / დოკუმენტები:

1.1. პრეტენდენტის რეკვიზიტები - დანართი N 1-ის შესაბამისად;

1.2. სატენდერო წინადადების ფასი (ფასის გაანგარიშების ცხრილი) - დანართი N 2-ის შესაბამისად;

1.2.1. როგორც ერთეულის, ისე საერთო ფასი უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარეშე (მიუხედავად იმისა, პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი თუ არა). თუ პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელია, დღგ-ს თანხა დაემატება ხელშეკრულების დადებისას და ხელსეკრულება დაიდება დღგ-ს ჩათვლით თანხაზე.

1.2.2. სატენდერო წინადადების ფასის წარმოდგენა უნდა შეიცავდეს იმის დადასტურებასაც, რომ პრეტენდენტს გააჩნია მომსახურების შეუფერხებლად გაწევისათვის საჭირო ფულადი რესურსი.

1.2.3. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

1.2.4. საავტორო ზედამხედველობის საფასური არ უნდა იყოს მთლიანი ფასის 7%-ზე ნაკლები.

1.3. ამ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული პირობების და ტექნიკური დავალების შესრულებაზე თანხმობის დადასტურება, დამოწმებული პრეტენდენტის ხელმძღვანელის ან სხვა სათანადოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და არსებობის შემთხვევაში - ბეჭდით.

1.4. ინფორმაცია/დოკუმენტები პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ - დანართი N 3-ის შესაბამისად;

1.4.1. პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, შეძლებს თუ არა პრეტენდენტი ამ სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოსა თუ მომსახურების დროულად, სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებას.

1.4.2. ზოგადი გამოცდილება:

➤ პრეტენდენტს სულ მცირე ბოლო 7 წლის განმავლობაში მაინც უნდა ჰქონდეს ანალოგიური / მსგავსი სამუშაოების უწყვეტი გამოცდილება, კერძოდ, ავტომაგისტრალების, ავტობანების, ხიდების, საავტომობილო ესტაკადების, სანიაღვრე სისტემების პროექტირების გამოცდილება.

➤ პრეტენდენტს ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული (მომზადებული) უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1 (ერთი) მაინც მსგავსი ტიპის ანდა სირთულის საპროექტო დოკუმენტაცია, არანაკლებ 150 000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულებისა (იგულისხმება საპროექტო მომსახურების ღირებულება და არა თვითონ პროექტის განხორციელების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება).

1.4.3. სპეციალური გამოცდილება:

➤ პრეტენდენტს ბოლო 10 წლის განმავლობაში დაპროექტებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი აეროდრომი ან/და სააეროდრომო ინფრასტრუქტურა (ბაქანი, სამიმოსვლო ბილიკები ან ასაფრენი ზოლი).

ან

პრეტენდენტის იმ მთავარ ინჟინერს/სპეციალისტს, რომელიც სააეროდრომო სპეციფიკის თვალსაზრისით იქნება ჩართული პროექტში და ამ კუთხით წარმართავს პროექტის მომზადების პროცესს, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაპროექტებული უნდა ჰქონდეს (ან/და იყოს პროექტის მენეჯერი ინფრასტრუქტურულ-სამშენებლო კუთხით) სულ მცირე 2 აეროდრომი ან/და სააეროდრომო ინფრასტრუქტურა (ბაქანი, სამიმოსვლო ბილიკები ან ასაფრენი ზოლი) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

1.4.4. დამადასტურებელი დოკუმენტები:

➤ პრეტენდენტმა, გამოცდილების ქონის დასტურად, უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შესაბამისი ხელშეკრულებების ასლები, ასევე ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი წერილი / ცნობა), სააეროდრომო სპეციფიკის კუთხით პროექტის მთავარი სპეციალისტის CV თუ სხვა დოკუმენტაცია.

➤ პრეტენდენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გამოცდილების დასტურად წარმოდგენილ ინფორმაციაში და დოკუმენტებში იყოს ინფორმაცია არა მხოლოდ

ზოგადი გამოცდილების თაობაზე, არამედ ამ ტენდერში მოთხოვნილი სპეციალური გამოცდილების შესახებაც, რაც ზემოთ არის მითითებული - იხ. 1.4.3. პუნქტი.
დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი N 3-ში მითითებული თითოეული პოზიციისთვის.

შენიშვნა: შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის ან/და რეკომენდაციისათვის (მათ შორის, პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტები) მიმართოს პრეტენდენტის იმ დამკვეთებს, რომლებთან გაფორმებულ დოკუმენტებსაც წარმოადგენს პრეტენდენტი გამოცდილების დასტურად და ამ დამკვეთთაგან მიღებული ინფორმაცია გაითვალისწინოს პრეტენდენტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

1.5. ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის შესახებ - დანართი N 4-ის შესაბამისად.

1.5.1. პრეტენდენტის პერსონალის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, ჰყავს თუ არა პრეტენდენტს საჭირო ოდენობით სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი, რაც აუცილებელია ამ სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოსა თუ მომსახურების დროულად, სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის.

1.5.2. პერსონალის ვინაობა: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ძირითად პერსონალზე, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების / სამუშაოს შესრულებაზე, კერძოდ:

- ვინც გასწევს ხელმძღვანელობას, კოორდინაციას თუ ზედამხედველობას;
- ვინც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას;
- ვინც უშუალოდ ასრულებს მომსახურების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს.

1.5.3. ინფორმაციის სახე: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ზემოაღნიშნული პერსონალის როგორც კვალიფიკაციის, ისე გამოცდილების შესახებ.

1.5.4. კვალიფიკაცია: პერსონალს უნდა ჰქონდეს იმ საქმიანობის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც მან უნდა შეასრულოს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას;

1.5.5. ზოგადი გამოცდილება: პერსონალს უნდა ჰქონდეს ზოგადი, თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება;

1.5.6. ზოგადი გამოცდილების პერიოდი: წინა პუნქტში მითითებული, ზოგადი პროფესიული გამოცდილება პერსონალს უნდა ჰქონდეს არანაკლებ იმ ოდენობით, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში თითოეული პოზიციისათვის.

1.5.7. სპეციალური გამოცდილება:

- პერსონალს მათ შორის უნდა ჰქონდეს იმ საქმიანობის ანალოგიური / მსგავსი (როგორც შინაარსით, ისე მოცულობით და სირთულით) სამუშაო გამოცდილება, როგორც მან უნდა შეასრულოს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას;

1.5.8. დამადასტურებელი დოკუმენტები:

- პერსონალის კვალიფიკაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პერსონალის დიპლომების, სერტიფიკატების და მისთ. ასლები;
- პერსონალის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს, სულ მცირე, თითოეული მათგანის რეზიუმე - ე.წ. CV, სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (ანუ არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა).
- პრეტენდენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გამოცდილების დასტურად წარმოდგენილ ინფორმაციაში და დოკუმენტებში იყოს ინფორმაცია არა მხოლოდ ზოგადი პროფესიული გამოცდილების თაობაზე, არამედ ამ ტენდერში მოთხოვნილი სპეციალური გამოცდილების შესახებაც, რაც ზემოთ არის მითითებული - იხ. 1.5.7. პუნქტი.
- დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს პერსონალის თითოეულ წარმომადგენელზე.

შენიშვნა 1: შესაძლებელია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნას შრომითი კონტრაქტებისა თუ დანიშვნის ბრძანებების ასლები, ე.წ. შრომის წიგნაკის ასლი, ცნობები ყოფილი სამუშაო ადგილებიდან, წერილობითი დასტური ყოფილი დამსაქმებლისგან, პიროვნების მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები თუ სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს და ავსებს CV-ში მოცემულ ინფორმაციას და ქმნის ერთიან სურათს პიროვნების სამუშაო გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა 2: შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის მიმართოს პრეტენდენტის იმ დამკვეთებს, რომლებთან გაფორმებულ დოკუმენტებსაც წარმოადგენს პრეტენდენტი პერსონალის გამოცდილების დასტურად და ამ დამკვეთთაგან მიღებული ინფორმაცია გაითვალისწინოს პრეტენდენტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

1.5.9. ამ ტენდერისათვის საჭირო პერსონალის მინიმალური სახეობა, ოდენობა და გამოცდილება (შესაძლებელია, რომ პრეტენდენტმა დანართი № 4-ის შევსებისას მიუთითოს სხვა პერსონალიც):

N	პერსონალი	ზოგადი პროფესიული გამოცდილება, არანაკლებ:	მინიმალური რაოდენობა
1	პროექტის მენეჯერი (გზების ან ნაგებობების ინჟინერი)	10 წელი	1
2	გზების და აეროდრომების ინჟინერი	7 წელი	1
3	ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი	7 წელი	1
5	ინჟინერ-გეოლოგი	7 წელი	1
6	გეოდეზისტი	7 წელი	1
7	ელექტრიკოსი-განათების სპეციალისტი	7 წელი	1
8	სანიაღვრე და კანალიზაციის კომუნიკაციების სპეციალისტი	7 წელი	1
9	ხარჯთაღმრიცხველი	7 წელი	1
10	აეროდრომზე საჰაერო ხომალდების მოძრაობის და განლაგების სქემის სპეციალისტი	5 წელი	1

შენიშვნა 1: შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე პიროვნება მოიაზრებოდეს ამ ცხრილის რამდენიმე პოზიციაზე ერთდროულად, მის მიერ შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების ქონის შემთხვევაში.

თუ ერთი პიროვნება წარმოდგენილია ორ ისეთ პოზიციაზე, რომელი პოზიციებისთვისაც სხვადასხვა ხანგრძლივობის გამოცდილებაა მოთხოვნილი, ასეთი პიროვნება უნდა აკმაყოფილებდეს იმ პოზიციის მოთხოვნას, რომელზეც მეტი ვადაა მოთხოვნილი.

შენიშვნა 2: უცხოელი სპეციალისტის წარმოდგენის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რა სამუშაოებს შეასრულებს ეს სპეციალისტი ამ პროექტში.

1.6. ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. დანართი N 5-ის შესაბამისად.

1.6.1. პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, გააჩნია თუ არა პრეტენდენტს საჭირო ოდენობით სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რაც აუცილებელია ამ სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოსა თუ მომსახურების დროულად, სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის.

1.6.2. მატერიალურ - ტექნიკური საშუალებები პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საკუთრებაში ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმის სარგებლობაში.

1.6.3. დამადასტურებელი დოკუმენტები: სისტემაში ატვირთვა სავალდებულო არ არის, თუმცა შემსყიდველი უფლებამოსილია, შეამოწმოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, ასევე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა.

1.6.4. ამ ტენდერისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მინიმალური სახეობა და ოდენობა (შესაძლებელია, რომ პრეტენდენტმა დანართი # 5-ის შევსებისას მიუთითოს სხვა საშუალებებიც):

N	მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები	ფლობის დასაშვები ფორმა	მინიმალური რაოდენობა
1	GPS 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით	საკუთრება ან სარგებლობა	1
2	ელექტროტაქეომეტრი	საკუთრება ან სარგებლობა	1
3	ნიველირი	საკუთრება ან სარგებლობა	1
5	გეოლოგიური საბურღი მანქანა	საკუთრება ან სარგებლობა	1
6	გრუნტის სტატიკური და დინამიკური ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა	საკუთრება ან სარგებლობა	1
7	სპეციალური ავტომატიზირებული პროექტირების პროგრამა	საკუთრება ან სარგებლობა	1
8	სატრანსპორტო საშუალება	საკუთრება ან სარგებლობა	1

1.7. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ - დანართი № 6-ის შესაბამისად.

1.7.1. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაო თუ მომსახურება პრეტენდენტმა არსებითად თავად უნდა შესარულოს. მიზანშეუწონელია, რომ პრეტენდენტი წარმოადგენდეს არსებითად მხოლოდ შუამავალს შემსყიდველსა და სამუშაოს უშუალო შემსრულებლებს შორის. აქედან გამომდინარე, ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის განსაზღვრა, აპირებს თუ არა პრეტენდენტი ქვეკონტრაქტორების გამოყენებას და დადებით შემთხვევაში როგორი იქნება პრეტენდენტის და ქვეკონტრაქტორების როლები სამუშაოს შესრულებაში, ასევე გააჩნიათ თუ არა ქვეკონტრაქტორებს მათ მიერ სამუშაოსა თუ მომსახურების შესრულებისათვის საჭირო კომპეტენცია.

1.7.2. მოთხოვნები ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებით:

თითოეულ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- ქვეკონტრაქტორის გამოცდილების შესახებ - იმ სფეროში, რომელშიც პრეტენდენტი აპირებს მის გამოყენებას - იმ სახით, როგორც ეს მოეთხოვება თავად პრეტენდენტს, ამ სატენდერო დოკუმენტაციის 1.4. პუნქტის შესაბამისად;
- ქვეკონტრაქტორის პერსონალის შესახებ - იმ სფეროში, რომელშიც პრეტენდენტი აპირებს მის გამოყენებას და იმ სახით, როგორც ეს მოეთხოვება თავად პრეტენდენტს, ამ სატენდერო დოკუმენტაციის 1.5. პუნქტის შესაბამისად;
- ქვეკონტრაქტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ - იმ სფეროში, რომელშიც პრეტენდენტი აპირებს მის გამოყენებას და იმ სახით, როგორც ეს მოეთხოვება თავად პრეტენდენტს, ამ სატენდერო დოკუმენტაციის 1.6. პუნქტის შესაბამისად.

1.7.3. დამატებითი პირობები ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებით:

- ყველა ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 30%-ს. მოცულობა იანგარიშება პროექტირების ღირებულების მიხედვით.
- ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.
- ქვეკონტრაქტორი არ უნდა იყოს გამოყენებული ამ სატენდერო დოკუმენტაციის 1.4. პუნქტით პრეტენდენტისათვის წაყენებული მოთხოვნების შესასრულებლად / შესავსებად.
- ქვეკონტრაქტორი შესაძლებელია გამოყენებული იყოს მხოლოდ შემდეგი სამუშაოსთვის:
 - ✓ გეოლოგიური ლაბორატორიული კვლევა;
 - ✓ სანიაღვრე სისტემის დაპროექტება;
 - ✓ აეროდრომზე საჰაერო ხომალდების მოძრაობის და განლაგების სქემის დაპროექტება;
 - ✓ ბაქანის განათების სისტემის დაპროექტება.

- პრეტენდენტი უფლებამოსილია, არ ჰყავდეს პერსონალი და არ ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმ სფეროში, რომელშიც აპირებს ქვეკონტრაქტორის გამოყენებას.
- შემსყიდველის მიერ ქვეკონტრაქტორების საკითხის განხილვისა და მიღების შემდეგ ქვეკონტრაქტორის ყოველი ცვლილება წინასწარ უნდა ეცნობოს და შეუთანხმდეს შემსყიდველს პრეტენდენტის (ან უკვე მომწოდებლის) მიერ.
- ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებულ სამუშაოზე შემსყიდველის წინაშე სრულად პასუხისმგებელია პრეტენდენტი (მომწოდებელი).

1.8. ინფორმაცია წინასაპროექტო შეწავლის და პროექტირების მეთოდოლოგიის შესახებ

1.8.1. პრეტენდენტმა ტენდერში უნდა წარმოადგინოს მოკლე ინფორმაცია / აღწერა და გეგმა, თუ რა მეთოდებით და როგორ განახორციელებს წინასაპროექტო შესწავლას, ხოლო შემდგომ ეტაპზე, უკვე სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, წინასაპროექტო შესწავლის ანგარიში უნდა მოიცავდეს უკვე პროექტირების მეთოდოლოგიას (იხ. ქვემოთ ტექდავალებაში).

1.9. დამატებითი პირობები უცხოური კომპანიებისა და მათი წარმომადგენლებისთვის

1.9.1. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენლობა საქართველოში და იყენებს სათაო კომპანიის გამოცდილებას, 1.4., 1.5., და 1.6. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისად შევსებული დანართები უნდა იყოს სათაო ოფისის მიერაც ხელმოწერილი და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული.

1.9.2. შემსყიდველი პრეტენდენტის გამოცდილებას ითხოვს იმ კუთხით, რომ შეიქმნას წარმოდგენა და მოლოდინი პრეტენდენტის უნარზე, ეფექტურად და ხარისხიანად განახორციელოს ამ ტენდერით გათვალისწინებული პროექტი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენლობა საქართველოში და იყენებს სათაო კომპანიის გამოცდილებას, მნიშვნელოვანია, რომ სათაო კომპანიის გამოცდილება მოტანილი იყოს არა ფორმალურად - მარტოდენ სატენდერო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, არამედ ამ გამოცდილებამ რეალური და საქმიანი ასახვა უნდა ჰპოვოს ამ ტენდერით შესასრულებელი პროექტის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, სათაო კომპანიას არ უნდა ჰქონდეს ნომინალური როლი და იგი ჩართული უნდა იყოს (ინტელექტუალური და ორგანიზაციული რესურსით: სპეციალისტებით, ტექნიკური ინფორმაციის/გამოცდილების მოწოდებით, პროექტის მენეჯმენტით და მისთ.) პროექტის განხორციელებაში და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (ატვირთოს ტენდერში) დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის იქნება ეს ჩართულობა. ეს ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს ასევე სათაო კომპანიის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და არსებობის შემთხვევაში - ბეჭდით.

1.9.3. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო ან ასეთის წარმომადგენლობა საქართველოში, ქვეკონტრაქტორის ყოლა დასაშვებია მხოლოდ შემდგ სფეროებში:

- ✓ მთლიანი გეოლოგიური კვლევა - როგორც უცხოური საწარმოს, ისე ასეთის წარმომადგენლობის შემთხვევაში;
- ✓ სანიაღვრე სისტემის დაპროექტება - როგორც უცხოური საწარმოს, ისე ასეთის წარმომადგენლობის შემთხვევაში;
- ✓ საქართველოში საორგანიზაციო-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება - უცხოური საწარმოს შემთხვევაში.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება შემსყიდველის მიერ.

1.10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეამოწმოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა თუ დოკუმენტების სისწორე.

1.10.2. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია / დოკუმენტები ფორმალურად შეესაბამება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილს, მაგრამ მათი შინაარსიდან ან წარმოდგენის ფორმიდან გამომდინარე, მათი მეშვეობით მკაფიოდ ვერ დგინდება ის მონაცემები, რომელთა გაგების მიზნითაც იყო ისინი მოთხოვნილი, შემსყიდველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს პრეტენდენტს დამატებითი ინფორმაციის ანდა დოკუმენტების წარმოდგენა.

1.10.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაფასოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პრეტენდენტის ზოგადი და სპეციალური გამოცდილების, პრეტენდენტის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების (როგორც ზოგადი, ისე სპეციალური), პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პროექტირების მეთოდოლოგიისა და პრინციპული ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ და თუ გამოიკვეთება, რომ წარმოდგენილი მონაცემებით პრეტენდენტი ვერ

შეძლებს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურებისა თუ სამუშაოს ჯეროვან შესრულებას, მისცეს მას დისკვალიფიკაცია არასათანადო ტექნიკური მონაცემების გამო.

2. ტენდერში მონაწილეობის საორგანიზაციო ინფორმაცია

- 2.1. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.
- 2.2. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.
- 2.3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- 2.4. თუ დოკუმენტაციას ხელს აწერს არა პრეტენდენტის ხელმძღვანელი, არამედ მისი წარმომადგენელი, სისტემაში უნდა აიტვირთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 2.5. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 2.6. თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა უნდა დაასაბუთოს. დასაბუთებაში პრეტენდენტმა პირველ რიგში ყველა შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს დეტალური გაანგარიშება, თუ რა დანახარჯები ესაჭიროება პრეტენდენტს მოწოდებისათვის და შესაბამისად, საიდან გამომდინარეობს შემოთავაზებული ფასი. დანახარჯების მოსალოდნელი ოდენობის დასასაბუთებლად კი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის დოკუმენტები:
 - 2.6.1. საექსპერტო დასკვნა (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული საექსპერტო ბიურო) - დასკვნა უნდა იყოს ცალსახა. სააღბათო ანდა დაშვებებზე დაფუძნებული დასკვნა არ მიიღება.
 - 2.6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება, ანგარიშგაქტურა, ინვოისი - შემსყიდველს შეუძლია, პრეტენდენტის კონტრაქტთან გადაამოწმოს დოკუმენტების შინაარსი.დასაბუთების მომზადების, მათ შორის - ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს „პრეტენდენტი“. დასაბუთება ატვირთული უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაზუსტებული ფასების ცხრილის ატვირთვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. დასაბუთების წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
- 2.7. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: მარიამ ბახუტაშვილი ტელ: (995 32) 248 73 38; ელ-ფოსტა: m.bakhutashvili@airports.ge

3. მომსახურების განხორციელების ზოგადი პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 3.1.1. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით, რომელიც გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ, შემსყიდველთან შეთანხმებული ფორმით.
- 3.1.2. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება ტენდერის შესყიდვის ობიექტის საწყის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების მაქსიმუმ 10 (ათი)%-ის ოდენობით.
- 3.1.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების განხორციელების ვადას.
- 3.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, შეამციროს გარანტიის მოცულობა უკვე შესრულებული და შესასრულებლად დარჩენილი მომსახურების მოცულობის პროპორციულად. შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ამგვარ შემცირებაზე ანდა დათანხმდეს მხოლოდ ნაწილობრივ შემცირებას, თუ ამგვარმა შემცირების შედეგად გარანტიის

მოცულობა რჩება იმდენად მცირე, რომ იგი ვეღარ იქნება დარჩენილი ვალდებულების შესრულების რეალურად უზრუნველმყოფი ინსტრუმენტი.

3.2. მომსახურების გაწევის ვადები და ზოგადი წესი

ვინაიდან შემსყიდველისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სამუშაოების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაწყება და დასრულება, საპროექტო სამუშაოს შესრულების გრაფიკი გაწერილია შემდეგი სახით:

- 3.2.1.** ტექნიკური დავალების პირველი ეტაპი - წინასაპროექტო შესწავლა და შესაბამისი ანგარიშის წარდგენა დამკვეთისათვის (იხ. ქვემოთ, ტექნიკურ დავალებაში) უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის ვადაში, ადზ-ს ოპტიმალური კურსის და მისი განლაგების შერჩევისა და მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით.
- 3.2.2.** ტექნიკური დავალების დანარჩენი ეტაპების შესრულების ვადაა დამკვეთის მიერ პროექტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მომწოდებლისათვის შესაბამისი დავალების მიცემიდან 2 (ორი) თვე.
- 3.2.3.** საავტორო ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს მთელი მშენებლობის განმავლობაში.

***შენიშვნა:** საპროექტო ტერიტორიის რთული კლიმატური პირობების გამო შესაძლოა ობიექტური შეფერხებები გათვალისწინებული იქნება დამკვეთის მიერ.*

3.3. მიღება-ჩაბარების და ანგარიშსწორების ზოგადი პირობები:

- 3.3.1.** მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ფასების ცხრილში მითითებული ეტაპების შესაბამისად.
- 3.3.2.** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შემსყიდველი პროექტს ჩაუტარებს ექსპერტიზას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული საექსპერტო ბიუროს მეშვეობით. დასკვნის აღებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს შემსყიდველი. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თავისი წარმომადგენლების ჩართულობა საექსპერტო შემოწმების და დასკვნის მომზადების პროცესში.
- 3.3.3.** მიმწოდებელი ვალდებული იქნება, დამატებითი ანაზღაურების გარეშე გამოასწოროს დასკვნაში მითითებული შენიშვნები.
- 3.3.4.** დასკვნის მომზადებისთვის საჭირო დრო (შესაბამისი ეტაპის პროექტის საექსპერტო დაწესებულებაში სრულად შეტანიდან დასკვნის მიღებამდე) არ შედის მიმწოდებლისთვის განსაზღვრულ მოწოდების ვადაში, მოწოდების ვადა ჩერდება ამ დროის განმავლობაში. საექსპერტო დასკვნაში მითითებული შენიშვნების გამოსწორებაზე დახარჯული დრო კი შედის მიმწოდებლისთვის მიცემულ მოწოდების დროში. ანუ თუ პროექტის პირველადი, ექსპერტიზაზე შეტანილი ვერსიის მომზადებაზე და შემდეგ დასკვნის შენიშვნების გამოსწორებაზე დახარჯული დრო ჯამში აღემატება პროექტის ამ ნაწილის შესასრულებლად მიმწოდებლისთვის განსაზღვრულ დროს, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რადგან ასეთი შემთხვევა მიიჩნევა შესრულების ვადის გადაცილებად.
- 3.3.5.** ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

3.4. სხვა პირობები

- 3.4.1.** მომსახურების გაწევისა თუ სამუშაოს შესრულების სხვა დეტალური პირობები განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ტექნიკური დავალება

I. შესავალი

ტექნიკური დავალება გულისხმობს ომალოს აეროდრომზე სააეროდრომო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამშენებლო ტექნიკურ-ორგანიზაციული შესაძლებლობების წინასაპროექტო კვლევას და დამკვეთის მიერ დაპროექტების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - საპროექტო დოკუმენტაციების კომპლექსურად მომზადებას.

II. წინასაპროექტო შესწავლა

დავალების პირველი ეტაპია წინასაპროექტო შესწავლა. ეს გულისხმობს მომწოდებლის მიერ ომალოს აეროდრომის განთავსების სავარაუდო ადგილმდებარეობის შესწავლას და დამკვეთისათვის კომპეტენტური ანალიზის და ანგარიშის მომზადებას. ანგარიში უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ მსჯელობას იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა მოცემულ ტერიტორიაზე აეროდრომის მოწყობა, რა პარამეტრების აეროდრომი შეიძლება დაპროექტდეს და რა ტიპის საპროექტო ღონისძიებებთან, სამშენებლო სამუშაოებთან და მშენებლობის ორგანიზაციის რაგვარ ღონისძიებებთან იქნება დაკავშირებული აეროპორტის მშენებლობა. სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში რა თქმა უნდა, რომ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ვარიანტებად.

მომწოდებელმა უნდა იმუშავოს დამკვეთის, საქაერონავიგაციის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლებთან კოორდინაციით. ასაფრენი ზოლის კურსს, აფრენა-დაფრენის მიმართულებას, აეროდრომთან საჰაერო მისადგომების მიმართულებებს და სხვა საავიაციო ტიპის მონაცემებს მომწოდებელს მიაწვდის დამკვეთი, ზემოხსენებულ უწყებებთან კოორდინაციით. თუმცა, ამ მონაცემების დაზუსტებამდე, მომწოდებელი ახორციელებს კვლევას მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ მონაცემების დაზუსტებამდე. დასაწყისისათვის, მომწოდებელს შეუძლია სახელმძღვანელოდ აიღოს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ აეროდრომის შესწავლის ანგარიში, რომელიც ატვირთულია ამ ტენდერში.

კონკრეტულად, წინასაპროექტო შესწავლა გულისხმობს შემდეგს:

1. აეროპორტის და საჭირო მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგოდეზიური შესწავლა, ტოპოგრაფიული რუკის შექმნა;
2. საორიენტაციო გეოლოგიური მონაცემების მოპოვება შესაძლებლობის ფარგლებში;
3. კლიმატური პირობების შესახებ მონაცემების მოპოვება;
4. საჭიროებისამებრ - ადგილზე ჰიდროლოგიური ვითარების (მდინარეები, ღვარცოფები და მისთ.) შესწავლა;
5. სამშენებლო არეალის შესწავლა საშენი მასალების, სამშენებლო ტექნიკის, კომუნიკაციების, მშენებლობის ორგანიზაციისათვის საჭირო კომპონენტების თვალსაზრისით;
6. სხვა საჭირო ღონისძიებებს, რაც საჭიროა დამკვეთისათვის სრულყოფილი ანგარიშის მისაწოდებლად ქვემოთ მოყვანილ საკითხებზე.

შესწავლის ანგარიში (მათ შორის, აეროდრომის მოწყობის თითოეული ვარიანტის განხილვა) უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. მიწის სამუშაოების საორიენტაციო მოცულობის განსაზღვრა;
2. ყრილის მოწყობის საჭიროების განსაზღვრა, დადებით შემთხვევაში - მის მოსაწყობად საჭირო მასალის სახეობის და საორიენტაციო მოცულობის განსაზღვრა;
3. ძირითადი ნაგებობების - ადრ-ს, ბაქანის და სამიმოსვლო ბილიკის კონსტრუქციის შესაძლებელი ტიპების განსაზღვრა: ხელოვნური საფარის ტიპი, კონსტრუქციის შემადგენლობა/აგებულება (ე.წ. „პეროგი“) და მისთ.
4. სხვა დამხმარე ხელოვნური ნაგებობების საჭიროების განსაზღვრა;
5. საჭირო სამშენებლო მასალების (მათ შორის, ინერტული მასალის) სახეობების და საორიენტაციო მოცულობების განსაზღვრა;

6. საჭირო საინჟინრო კომუნიკაციების (ელექტროენერგია, წყალმომარაგება, მობილური კავშირი, ინტერნეტი) საჭირო საორიენტაციო მოცულობები/სიმძლავრეები და ადგილზე მათი უზრუნველყოფის შესაძლებლობების განსაზღვრა;
7. არსებობის შემთხვევაში - ჰიდროლოგიური საკითხების გადაწყვეტის შესაძლო გზების განსაზღვრა;
8. არსებობის შემთხვევაში - განსახლების საკითხის მხრივ საორიენტაციო ვითარება (გამოსასყიდი ტერიტორიის ზოგადი აღწერა, საორიენტაციო ფართობი, მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა სავარაუდო ოდენობა);
9. მშენებლობის განხორციელების საორიენტაციო ღირებულება (არ იგულისხმება დეტალიზებული, ნორმებით შედგენილი ხარჯთაღრიცხვის შედგენა).

ასევე მშენებლობის ორგანიზაციის საკითხები:

10. საჭირო სამშენებლო ტექნიკის სახეობის და სავარაუდო ოდენობის განსაზღვრა, სამშენებლო მოედანზე მათი მობილიზაციის შესაძლებლობების განსაზღვრა, მათი საწვავით და სხვა საჭირო სახარჯი მასალებით მომარაგების შესაძლებლობების განსაზღვრა, მათ შორის, მაგალითად, გათვალისწინებული უნდა იქნას გაბარიტული ტვირთის არსებობის შესაძლებლობები;
11. სამშენებლო მოედანზე საშენი მასალების მიწოდების შესაძლებლობების განსაზღვრა თითოეულ მასალასთან მიმართებაში. მათ შორის, მაგალითად, გათვალისწინებული უნდა იქნას გაბარიტული ტვირთის არსებობის შესაძლებლობები, მასალების ადგილზე წარმოების შესაძლებლობა, ადგილზე მოპოვებადი სამშენებლო მასალების გამოყენების შესაძლებლობები და სხვ;
12. სამუშაოთა წარმოების შესაძლებლობები და პერიოდები კლიმატური, ჰიდროლოგიური თუ სხვა რელევანტური პირობებიდან გამომდინარე.

დამკვეთი შეაფასებს შესწავლის ანგარიშს და შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას, პროექტირების განხორციელების თაობაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში - დასაპროექტებელი ინფრასტრუქტურის მახასიათებლების შესახებ, რის თაობაზეც უკვე აძლევს მომწოდებელს პროექტირების დაწყების დავალებას. მომწოდებელი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გადადის მეორე ეტაპზე და იწყებს პროექტირებას.

III. პროექტირება

მეორე ეტაპზე პროექტანტმა უნდა მოამზადოს შემდგი დოკუმენტაცია:

1. აეროდრომის მთლიანი ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკის მომზადება.
2. აეროდრომის მთლიანი გენგეგმის შექმნა
3. საჰაერო ხომალდების სამოდრო ანფრასტრუქტურის პროექტირება, რაც მოიცავს:
 - 3.1. ასაფრენ-დასაფრენი ზოლი;
 - 3.2. სამიმოსვლო ბილიკი;
 - 3.3. ხომალდების სადგომი ბაქანი.
 ეს ინფრასტრუქტურა უნდა დაპროექტდეს სრულყოფილად, თავისი განათებით, მარკირებით, წყალარინებით და ა.შ.
4. აეროდრომის მთლიანი ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის პროექტირება;
5. აეროდრომის პერიმეტრული პატრულირების გზის პროექტირება;
6. აეროდრომის შემოღობვის პროექტირება;
7. მიმდებარე საავტომობილო გზასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაერთების კვანძ(ებ)ის პროექტირება;
8. საჭიროების შემთხვევაში - განსახლების გეგმა და დოკუმენტაცია.
9. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება

IV. საპროექტო დავალების წინასწარი მოკლე აღწერილობა

წინამდებარე აღწერა მოცემულია იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ ეტაპზე, პროექტების კონკრეტული დავალების არარსებობის პირობებში. დავალების დეტალიზება მოხდება წინასაპროექტო შესწავლის შედეგების გათვალისწინებით.

ზოგადად, საპროექტო გადაწყვეტები მაქსიმალურად რაციონალური უნდა იყოს საჭირო დანახარჯების, შესრულების დროისა და ტექნიკური სირთულის და მიღებული შედეგის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

1. აეროდრომის სანიაღვრე სისტემა

უნდა დაპროექტდეს მთლიანი ტერიტორიის სანიაღვრე სისტემა ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას წყლის მოცილება აეროპორტის მთლიანი ტერიტორიიდან. თუ პროექტი მომზადდება ისეთი ტექნიკური გადაწყვეტით, რომ იგულისხმებს სანიაღვრე წყლის ნაკადების აეროპორტის ტერიტორიიდან გაყვანას, განსაზღვრული უნდა იყოს როგორ მოხდება მისი შემდგომი წარმართვა.

2. აეროდრომის ტოპოგრაფიული რუკის მომზადება

რუკა უნდა მომზადდეს აეროდრომის მთელი ტერიტორიისათვის (დაახლოებით 22 ჰა), მასშტაბით - 1:500. რუკაზე რელიეფის გარდა დატანილი უნდა იყოს ასევე ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაგებობა, კომუნიკაცია თუ ბუნებრივი ობიექტი. რუკა უნდა მომზადდეს მაღალი სიზუსტით, მათ შორის, საჭირო სავსე სამუშაოების გამოყენებით. დაუშვებელია რუკის მომზადება მხოლოდ ორთოფოტოს ანდა მხოლოდ სხვაგვარი აეროფოტოგადაღების მეშვეობით.

3. განსახლების გეგმის და დოკუმენტაციის შედგენა

საჭიროების შემთხვევაში, მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აეროპორტის მიმდებარე შესაბამისი ტერიტორიების განსახლების გეგმის სრული დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნული გულისხმობს განსახლების პროცესისათვის საჭირო სრული დოკუმენტაციის მომზადებას, მათ შორის:

- შესაბამისი დამატებითი ტერიტორიების ტოპოგეოდეზიურ სამუშაოებს;
- კერძო ნაკვეთების რეგისტრაციებს და ნაკვეთების გამიჯვნას;
- ნაკვეთების ინვენტარიზაცია (ნაგებობების აზომვა, ხეების დათვლა ნაირსახეობის წლების მსხმოიარობის და ა.შ.);
- შეფასებას სამხარაულის ბიუროს მეშვეობით, რის ხარჯებსაც გადაიხდის შემსყიდველი.
- მესაკუთრებთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმებას.

V. საპროექტო სამუშაოები / წარმოსადგენი დოკუმენტები

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

1. დაპროექტებული ნაგებობების დეტალურ ნახაზებს და გეგმებს (მ/შ მარკირების);
2. კონსტრუქციულ ნახაზებს;
3. საჭირო დეტალიზაციებს
4. განივი და გრძივი ჭრილების და მისთ. ნახაზებს;
5. არსებული კომუნიკაციებისა თუ ნაგებობების (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში) გამოყენების, დემონტაჟის, ახლის მოწყობის თუ სხვ. დასაბუთებასა და გეგმებს, ნახაზებს;
6. მასალების სპეციფიკაციებს;
7. სამუშაოთა მოცულობის უწყისებს;
8. მშენებლობის ორგანიზაციის დეტალურ პროექტს, მათ შორის (და არამხოლოდ) გეგმა-გრაფიკს და პროექტის განხორციელების ტექნოლოგიურ და მეთოდოლოგიურ აღწერას;
9. ხარჯთაღრიცხვას;
10. ხარჯთაღრიცხვის excel-ის გასუფთავებულ ფაილს თანხების მითითების გარეშე.

VI. საავტორო ზედამხედველობა

მომწოდებელმა უნდა განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების (მშენებლობის მომზადება და მშენებლობა) პროცესში. შესაბამისად, ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციას თავის განფასებაში (ხარჯთაღრიცხვაში) უნდა ედოს საავტორო ზედამხედველობის საფასურიც, რომელიც არ უნდა იყოს პროექტირების ღირებულების 7%-ზე ნაკლები.

საავტორო ზედამხედველობა მოიცავს შემდეგს:

1. პროექტის განხორციელების პროცესში ზედამხედველობა, სათანადო დოკუმენტაციის (ჟურნალის თუ სხვ.) წარმოება, სამუშაოს პროექტის დაცვით განხორციელების კონტროლი და შემსრულებლისთვის სათანადო მითითებების მიცემა;
2. მშენებლობის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პროექტის კორექტირება;

პროექტანტმა მშენებლობის დასრულების შემდეგ (ან მშენებლობისას, ეტაპობრივად) შემსყიდველს სრულად უნდა გადასცეს მის მიერ ზედამხედველობის ფარგლებში შედგენილი დოკუმენტები - ჟურნალები, აქტები თუ სხვა.

VII. პროექტირებისას გამოსაყენებელი დოკუმენტები:

სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) ოფიციალური გამოცემა:

International Standards and Recommended Practices, Annex 14 Aerodrome, Volume I Aerodrome Design and Operation;

Doc 9157 part 1; Doc 9157 –part 2; Doc 9157 –part 3; Doc 9157 –part 4; Doc 9157 –part 5;

Doc 9137 -2; Doc 9137 -8; Doc 9137 -9;

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირებისთვის:

Doc 9137 –part 2; Doc 9137 –part 8; Doc 9137 –part 9.

შენიშვნა:

1. ტექნიკურ პირობებში მითითებულ მონაცემებს და მოცულობებს აქვთ საორიენტაციო ხასიათი. მიმწოდებელმა თავად უნდა შეისწავლოს ტერიტორია, დააზუსტოს მონაცემები და თავად განსაზღვროს სწორი საპროექტო გადაწყვეტა, დამკვეთთან კოორდინაციით. ამავდროულად, დამკვეთი შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩენს მომწოდებელს დახმარებას საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ორგანიზებასთან დაკავშირებით.
2. პროექტირებაში გამოსაყენებელი დოკუმენტაცია ასევე მითითებულია აუცილებელი მინიმუმის თვალსაზრისით, საორიენტაციო სახით. საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს სრულყოფილად, შესაბამისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ნორმების (სამშენებლო, საექსპლუატაციო, საავიაციო უშიშროების თუ სხვა) გათვალისწინებით, იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს ნორმები სახელდებით მოხსენიებული სატენდერო დოკუმენტაციასა თუ მომწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმძღვანელი:

თანამდებობა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ფასების გაანგარიშების ცხრილი

„_____“ _____ „201_ წ.

(შევსების თარიღი)

პრეტენდენტი _____ მომსახურებას გთავაზობთ

_____ (_____) ლარად (დღგ-ს გარეშე).

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვიერად)

მომსახურების კონკრეტული განფასება კი შემდეგი სახისაა:

ეტაპი	ეტაპის დასახელება	ფასი
1	წინასაპროექტო შესწავლა	
2	აეროპორტის მთლიანი ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკის მომზადება მასშტაბით - 1 : 500, აეროპორტის გენგეგმის შექმნა	
3	ტექდავალებაში მოცემული სრული სააეროდრომო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტირება	
	საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	
	საავტორო ზედამხედველობა	
4	საავტომობილო გზასთან დაერთების კვანძის პროექტირება (საჭიროების შემთხვევაში)	
	საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	
	საავტორო ზედამხედველობა	
5	განსახლების გეგმა (საჭიროების შემთხვევაში)	
6	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში	
ჯამური ფასი:		

ამასთანავე, გიდასტურებთ, რომ გაგვაჩნია მომსახურების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი.

პრეტენდენტის ხელმძღვანელი:

თანამდებობა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	პროექტის ფარგლებში დაკავებული პოზიცია / ფუნქცია	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	საერთო პროფესიული გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ/მსგავს პრექტებზე მუშაობის გამოცდილება (პროექტის დასახელება და მოკლე აღწერილობა)
1					
2					
3					
.. .					
n					

პრეტენდენტის ხელმძღვანელი:

თანამდებობა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შესაძლო გამოყენებული ქვეკონტრაქტორების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	ქვეკონტრაქტორის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	ქვეკონტრაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების წილი %-ში
1					
2					
3					
...					
ჯამი (არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი სამუშაოს 30%-ს)					

პრეტენდენტის ხელმძღვანელი:

თანამდებობა
სახელი, გვარი
ხელმოწერა

ქვეკონტრაქტორის ხელმძღვანელი:

თანამდებობა
სახელი, გვარი
ხელმოწერა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება გაფორმების დროს

ერთის მხრივ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი _____ სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს -----

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:

3.1.1. განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.

4. მიღება-ჩაბარების და ანგარიშსწორების ზოგადი პირობები:

4.1.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ფასების ცხრილში მითითებული ეტაპების შესაბამისად.

4.1.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შემსყიდველი პროექტს ჩაუტარებს ექსპერტიზას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული საექსპერტო ბიუროს მეშვეობით. დასკვნის აღებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს შემსყიდველი. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თავისი წარმომადგენლების ჩართულობა საექსპერტო შემოწმების და დასკვნის მომზადების პროცესში.

4.1.3. მომწოდებელი ვალდებული იქნება, დამატებითი ანაზღაურების გარეშე გამოასწოროს დასკვნაში მითითებული შენიშვნები.

4.1.4. დასკვნის მომზადებისთვის საჭირო დრო (შესაბამისი ეტაპის პროექტის საექსპერტო დაწესებულებაში სრულად შეტანიდან დასკვნის მიღებამდე) არ შედის მომწოდებლისთვის განსაზღვრულ მოწოდების ვადაში, მოწოდების ვადა ჩერდება ამ დროის განმავლობაში. საექსპერტო დასკვნაში მითითებული შენიშვნების გამოსწორებაზე დახარჯული დრო კი შედის მიმწოდებლისთვის მიცემულ მოწოდების დროში. ანუ თუ პროექტის პირველადი, ექსპერტიზაზე შეტანილი ვერსიის მომზადებაზე და შემდეგ დასკვნის შენიშვნების გამოსწორებაზე დახარჯული დრო ჯამში აღემატება პროექტის ამ ნაწილის შესასრულებლად მიმწოდებლისთვის განსაზღვრულ დროს, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რადგან ასეთი შემთხვევა მიიჩნევა შესრულების ვადის გადაცილებად.

4.1.5. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1. აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში შემსყიდველის მიმართვის საფუძველზე განახორციელოს პროექტში შესაბამისი ცვლილებები, ასევე ამომწურავი პასუხი გასცეს შემსყიდველის მხრიდან დასმულ შეკითხვებს;

5.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

5.1.3. პროექტზე მუშაობა წარმართოს შემსყიდველის წარმომადგენლებთან კოორდინაციით.

5.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების დასრულების შემდგომ.

5.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6. მხარეთა უფლებები

6.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

6.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

6.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

6.2.1. განაცხადოს უარი ხარვეზიანი მომსახურების მიღებაზე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა:

11.1.1. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით, რომელიც გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ, შემსყიდველთან შეთანხმებული ფორმით.

11.1.2. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება ტენდერის შესყიდვის ობიექტის საწყის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების მაქსიმუმ 10 (ათი)%-ის ოდენობით.

11.1.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების განხორციელების ვადას.

11.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, შეამციროს გარანტიის მოცულობა უკვე შესრულებული და შესასრულებლად დარჩენილი მომსახურების მოცულობის პროპორციულად.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.

14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

15. დამატებითი პირობები

15.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის ----- ჩათვლით.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. დასკვნითი დებულებები

17.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია — გვერდზე, — (—) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან` სამი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:
